ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 იანვარი, კვირა, 1990 წ.
№ 14 (10 183) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

შეიქმნა რაგბის ასოციაცია

ჩვენს რესპუბლიკაში ამ უკანასკნელ ხანს დასაბამი მიეცა რამდენიმე ახალი სპორტული ასოციაციის შექმნას. ყოველი ასეთი სიახლე ხომ ფიზკულტურული და სპორტულ-გამჯანსაღებელი მოძრაობის გამოცოცხლებას მოასწავებს; და რაც მთავარია, იმის მიმანიშნებელია, რომ საზოგადოებრიობა, ჩვენი ახალგაზრდობა სულ უფრო მეტად ინტერესდება მასობრივი სპორტული საქმიანობით, ინერგება სპორტის ახალი სახეობები, ყოველმხრივ ხელსაყრელი შესაძლებლობები იქმნება მსოფლიოს თანამედროვე სპორტულ ცხოვრებაში უფრო აქტიური მონაწილეობისათვის.

ამ სიახლეებს ახლახანს კიდევ ერთი შეემატა: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა 1990 წლის 17 იანვარს რეგისტრაციაში გაატარა რაგბის ასოციაციის წესდება. ეს საქართველოს მორაგბეთა მიღწევების თავისებური აღიარებაც არის და იმის წინაპირობაც, რომ მომავალში მეტი უურადღება მიექცეს სპორტის ამ საინტერესო სახეობას, ხელი შეუწყოს მის მასობრიობას, ყველაფერი გაკეთდეს რაგბის ქართული სკოლის შექმნისა და მისი ტრადიციების განსამტკიცებლად.

როგორც წესდებაშია აღნიშნული, რაგბის საქართველოს ასოციაცია დამოუკიდებელი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა; იგი წარმოადგენს საქართველოს მორაგბეთა და რაგბის მოყვარულთა ინტერესებს, თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და დამტკიცებული წესდების შესაბამისად.

ასოციაცია მიზნად ისახავს სრული სუვერენიტეტის მიღწევას, ანუ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გადაქცევას მთავარ შეჯიბრებად, საქართველოს ეროვნული ნაკრების შექმნას და მის მონაწილეობას ოფიციალურ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში, რაგბის საერთაშორისო საბჭოში (ირბ.) საქართველოს დამოუკიდებელ წევრად შესვლას, სპორტის ამ სახეობის ფართო პოპულარიზაციას, მორაგბეთა პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას და ოსტატობის სრულყოფას, მათი სამოყვარულო სტატუსის განუხრელ დაცვას, როგორც ამას რაგბის საერთაშორისო საბჭოს კანონმდებლობა ითვალისწინებს; პირდაპირი, დამოუკიდებელი კონტაქტების დამყარებას საკავშირო და საერთაშორისო დონეზე.

დასახული მიზნების განსახორციელებლად ასოციაცია აქტიურად გამოიყენებს არსებული კანონმდებლობით ნებადართულ მუშაობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა ასოციაციის ფონდების შექმნა, სამუშაო კომისიების ჩამოყალიბება და დაფინანსება, პრემირება და რეკლამირება, საჯარო ღონისძიებების — კრებების, სემინარების, დისკუსიების ჩატარება და სხვა. ასოციაცია მიზნად ისახავს მჭიდრო, საქმიან კონტაქტებს საქართველოს სპორტსახკომთან და რაგბის კავშირთან, სხვადასხვა სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, კოოპერატივებთან — ყველა ორგანიზაციასა და მოქალაქესთან, რომელთა საქმიანობაც არ ეწინააღმდეგება ასოციაციის იდეალებს და ხელს შეუწყობს ასოციაციის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას.

ასოციაციის ინდივიდუალური წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს, საბჭოთა კავშირისა თუ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე მისი ასაკის, სქესის, ეროვნების, რწმენის, პარტიულობისა და სოციალური წარმოშობის მიუხედავად, თუკი ის აღიარებს ასოციაციის პროგრამას და წესდებას, გადაიხდის საწევრო გადასახადს და დაემორჩილება ასოციაციის კრებების გადაწყვეტილებებს. ასოციაციის წევრად მიღება მოხდება საერთო კრების გადაწყვეტილებით.

ასოციაციის პირველი დამფუძნებელი კრება გასული წლის ივლისში გაიმართა. ამ მოკლე ხანში ასოციაციის წევრები კვლავ შეიკრიბებიან და დამტკიცებული წესდების შესაბამისად აირჩევენ ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებს, დასახავენ მომავალი საქმიანობის პერსპექტივებს.

26-28 იანვარს სპორტის სასახლეში ჩატარდება თბილისის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ: 26-27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ — ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 11 ᲓᲐ 18 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ; 28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ — 11 ᲓᲐ 17 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ 13 ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲗᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ ᲐᲨᲨ-Ს, ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ, ᲘᲠᲐᲜᲘᲡ, ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ, ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ, ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲡ, ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲛᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ

ᲡᲐᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲓ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜ:

ᲐᲨᲨ — 24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ (18 ᲙᲐᲪᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲗ);

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ — 24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ (15);

ᲘᲠᲐᲜᲘ — 26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ (12);

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ — 25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ (8);

ᲙᲡᲓᲠ — 25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ (10);

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ — 25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ (7);

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ — 25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ (6);

ᲙᲐᲜᲐᲓᲐ — 25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ (2).

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲨᲘ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔᲔᲑᲘ.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ მთავარი მსაჯია მსოფლიოს, ევროპის, საბჭოთა კავშირისა და თბილისის საერთაშორისო ტურნირის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ᲖᲐᲠᲑᲔᲒ ᲒᲔᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ტურნირს ჰყავს სპონსორები. ესენი არიან: თბილმშენი და თბილისის №3 სატაქსომოტორო საწარმოო გაერთიანება.

გურამ მოდებაძე და სხვები

ᲣᲙᲕᲔ გაცნობეთ ქართველი ძიუდოისტის გ. მოდებაძის (65 კგ) გამარჯვების ამბავი ტოკიოში გამართულ ტრადიციულ ტურნირზე, რომელიც „შორიკის“ სახელწოდებითაა ცნობილი. მის გარდა იაპონიაში კიდევ სამი ქართველი მოჭიდავე ასპარეზობდა. გუშინ რედაქციაში გვეწვია საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი **შოთა ხაბარელი,** რომელიც ჩვენი ოთხეულის გამოსვლის შესახებ გვესაუბრა.



გურამ მოდებაძე.

— არ გაუმართლა აკაკი კიბორძალიძეს. იგი უკვე სამჯერ იყო ამ ტურნირის ჩემპიონი, ამ შეჯიბრებაშიც მოიგო პირველი შეხვედრა, მაგრამ შემდეგ ცუდად გახდა, რაც აკლიმატიზაციის ბრალი უნდა იყოს. იძულებული გავხდით ჩვენვე მოგვეხსნა შეჯიბრებიდან.

კარგად დაიწყო ჭიდაობა გია თენაძემ. ზედიზედ მოუგო მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს, შემდეგ ევროპის ჩემპიონსაც. მაგრამ მესამე შეხვედრაში უმნიშვნელო უპირატესობით დამარცხდა იაპონელ ძიუდოისტთან და შეჯიბრებას გამოეთიშა. ამ ტურნირს ასეთი წესი აქვს — სანუგეშო შეხვედრები აღარ იმართება.

ვალერი პარუნაშვილმაც იქაურ სპორტსმენთან წააგო, ოღონდ — ჰანტეით (მსაჯთა გადაწყვეტილებით, **რედ.**).

რაც შეეხება გურამ მოდებაძეს, მართალი გითხრათ, მისგან ასეთ ბრწყინვალე გამოსვლას არ ველოდით. ბავშვებივით მოერია ყველა მეტოქეს. გუნდურ პირველობაშიც მოიგო ოთხივე შეხვედრა და პირადშიც ხომ არავის დაუტოვა წარმატების რაიმე შანსი. ჩვენი გუნდი მეორე ადგილზე გავიდა და ერთი ვერცხლის მედალი კიბორძალიძემაც დაიმსახურა...

ქვეყნის ნაკრების წევრებიდან მოდებაძის გარდა გამარჯვებები მოიპოვეს მოსკოველმა ვიტალი ბუდიუკინმა (86 კგ) და ორჯონიკიძელმა სტანისლავ კოსოევმა (აბსოლუტური წონა), მახაჩყალელი რუსლან გამზათოვი (60 კგ) და გროზნოელი ბაშირ ვარაევი (78 კგ) მეორე ადგილზე გავიდნენ...

რედაქციისაგან: შ. ხაბარელმა ერთი მეტად საყურადღებო ამბავიც გვაცნობა: ტოკიოში გაიმართა მოლაპარაკება საქართველოს დელეგაციისა და იაპონიის ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელებს შორის. იგი შეეხებოდა ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის შექმნას, აგრეთვე სხვა, ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ამ მოლაპარაკების შესახებ უფრო დაწვრილებით გაცნობებთ გაზეთ „ლელოს“ უახლოეს ნომერში.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ ● I ᲚᲘ�გᲐ

გამარჯვება 21 ქულის სხვაობით

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისში ლენინის სახელობის დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის პირველობის მორიგი შეხვედრა პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის.

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა უმასპინძლა რიგის ტტტ-ს და დაამარცხა ანგარიშით 78:57 (48:30). ჩვენს გუნდში ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ ვერა კოზლოვა (22 ქულა) და მედეა მხეიძე (15 ქულა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲮᲢᲝᲛᲐᲨᲘ

კიდევ ოთხი ჩემპიონი

ᲒᲣᲨᲘᲜ ვაკის საცურაო აუზში დასრულდა საქართველოს წყალმხტომელთა ზამთრის ჩემპიონატი. უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის კოშკიდან ხტომაში საუკეთესონი იყვნენ ნანა ნებიერიძე (408,39 ქულა) და გოჩა გახარია (550,17). უმცროსთა შეჯიბრებაში ყველას აჯობებს ასია ვართანოვამ (297,25) და გიორგი მაჩაბლიშვილმა (426,63).

„თეთრონი“ წინ იხედება

სპორტი, სპონსორი, პერსპექტივა...

დასავლეთით ქარავანი თავისი გზით მიდიოდა და შორსაც წავიდა. ის ხმები, ცნობილი ანდაზის „სიუჟეტის“ თანახმად, ქარავანს რომ გაეძღვენება ხოლმე, აღმოსავლეთის მხრიდან ისმოდა.

საბჭოთა პრესაში „ბურჟუაზიული სპორტის ზნე-ჩვეულებათა მამხილებელი“ და ხელაღებით მლანძღველ-მაგინებელი წერილების მეტი რა წაგვიკითხავს! სხვაც ბევრი უპრიანი იქნებოდა, მაგრამ სპონსორობასაც რომ გაჰკრავდნენ ხოლმე კბილს, მე პირადად ორი ანდაზა მახსენდებოდა — ერთი ის, რომლის ჩვენ იმდროინდელ ყოფაზე მორგებული „ინტერპრეტაცია“ ზემოთ შემოგთავაზეთ, მეორეს კი ქვემოთ მოგახსენებთ.

ერთი სიტყვით, რა ხანია, დასავლეთში სპორტსა და ბიზნესს საერთო ენა გამოენახათ და უერთმანეთოდ არსებობა ვეღარ წარმოედგინათ. თავის ჭიასაც ახარებდნენ და ერთმანეთსაც ახეირებდნენ, ფრიად კმაყოფილი კი რჩებოდა საზოგადოება, რომელსაც არც პური აკლდებოდა, არც სანახაობა.

ამ დროს ჩვენში ქვეყანა ქრთამზე გაწყობილიყო და „სოფლის უკეთესმა ტრიალს“ ზნეობისთვის ლამის წირვა გამოეყვანა. აი, მაშინ იყო, ერთი უბრალო ანდაზის ნათელი აზრიც რომ გაუკეთესმართდა. მიზანი და ვითარება (სოციალური ფონი, განწყობა თუ კონტექსტი) ვიკითხოთ, თორემ „ხელმა ხელი დაბანა, ორივემ — პირიო“ სხვას რას უნდა ნიშნავდეს, თუ არა ორმხრივ სასარგებლო გარჯით საერთო საქმის კეთებას. არადა, ეს ანდაზა მექრთამეთა პაროლად და კორუფციის ფორმულად იყო ქცეული და ჩურჩულით და „მრავლისმეტყველი“ მინიშნებით თუ ითქმოდა.

დრომ და გაჭირვებამ გვაიძულა და ახლა სხვანაირად ვფიქრობთ და ვიქცევთ. ამას წინათ, მაგალითად, ერთ სპორტულ საკრებულოში ჩვენში ახალფეხადგმული სპონსორობის სიკეთეზე ჩამოვარდა სიტყვა. „სპონსორის“ დროულად გადმოქართულებაზეც ზომ არ გვეფიქრაო — ითქვა. სავარაუდო შესატყვისებიც ჩამოთვალეს — ქომაგი, მეურვე, მეოხი, შემწე... რა და რომელი სჯობს, ამას, ალბათ, ენათმეცნიერები გაარკვევენ და გვირჩევენ, ერთი კი ცხადია — დღეს ჩვენ სპორტს სპონსორების დიდი იმედი აქვს და ეს სხვა „მადლიან-მარილიანი“ სახელებიც იმიტომ გვემეტება.

„თეთრონი“ — სარეკლამო ფარმა ამ წარწერით კარგა ხანია მიიპყრო სპორტის მოყვარულების ყურადღება. „თეთრონი“ თბილისში გამართულ არც ერთ მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებას არ აკლდება და მუდამ პრესტიჟულ ადგილსაც ეპატრონება. შარშან, წლის ბოლოს კი ნამდვილად ისახელა თავი — ორი საერთაშორისო ტურნირის ერთ-ერთი სპონსორი გახლდათ. გეხსომებათ, ერთი ქართულ ჭიდაობაში პირველად ჩატარებული საერთაშორისო შეჯიბრება იყო, მეორე — მიხეილ მესხის სახელობისა მინიფეხბურთში. ჩვენებურ სპონსორებზე მასალის მომზადება რომ დამეგალა, ბუნებრივია, არჩევანი მასზე შევაჩერე და ამ მიზნით ვეწვიე საწარმოო გაერთიანება „თეთრონის“ გენერალურ დირექტორს თამაზ კვინიკაძეს.

● **პირველ ყოვლისა, ქართული სპორტის ახალშეძენილი პარტნიორისა და ქომაგის უშუალო საქმიანობაში გარკვევას გთხოვთ...**

— ესე იგი, გაინტერესებთ, რას ვაწარმოებთ: სარეცხ პასტებს „ფირუზსა“ და „ბიოს“, შამპუნებს „იას“, „ბაიას“, პლასტმასის ნაწარმს, ლაქსაღებავებს, ავტოკოსმეტიკას, აეროზოლებს, დეზოდორანტებს. და სხვა — წლიურად 70 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელს.

● **„თეთრონი“ თავიდანვე გულისყურით მოეკიდა თავისი პროდუქციის რეკლამის საქმეს. ამ თვალსაზრისით იგი ერთი იშვიათი გამონაკლისიც გახლდათ — სხვები თავს არ იწუხებდნენ, რეკლამას ყურადღებასაც არ აქცევდნენ. იქნებ, იმიტომაც, რომ თვლიდნენ: საყოველთაო დეფიციტის პირობებში ყველანაირი საქონელი გასაღდება და ფული რატომღა ვფლანგოთო?**

— სხვებისა რა მოგახსენოთ, მე კი ასე ვთვლი: როგორი დეფიციტის პირობებშიც არ უნდა ცხოვრობდეს და შრომობდეს, მეურნე კაცი წინ უნდა იხედებოდეს. პერსპექტივის თვალსაზრისით ეს ძალზე მნიშვნელოვანია — ყველა ვხედავთ, როგორ შეიცვალა დრო და ეს ცვლილებები ჯერ არ დასრულებულა. სწორედ დროს არ უნდა ჩამორჩე — პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად რეკლამაზეც უნდა იფიქრო, ამ საქმეშიც გაიწაფო. თავს თუ დაიარხეინებ და საქმეს გაიიოლებ, არც დღევანდელობა გაპატიებს და არც მომავალი.

● **რეკლამაზე ცოტა არ უნდა გეხარჯებოდეთ. სპორტულ ღონისძიებებზე გამოფენილი სარეკლამო ფარებისა და სპონსორობის გარდა, „თეთრონის“ პროდუქციის რეკლამას გაზეთებშიც ვხვდებით.**

— რეკლამისთვის ყოველწლიურად 100 ათას მანეთზე მეტი გვაქვს „გადადებული“.

● **ეს თანხა ნამდვილად არ გახლავთ მცირე. რომელი ფონდიდან გაიღებთ ამ ფულს, საწარმოს რომელიმე სფერო, მაგალითად, სოციალური, ხომ არ ზარალდება ამით?**

— არავითარი ფონდი, არავითარი ზარალი! რეკლამის ხარჯები შედის ნაწარმის თვითღირებულებაში, ასე რომ, „თეთრონის“ სოციალურ და საყოფაცხოვრებო პროგრამას კაპიკი არ აკლდება.

● **საყოველთაოდ ცნობილია, როგორ უყვარს ქართველ კაცს სპორტი. გამონაკლისი, ალბათ, არც თქვენ ბრძანდებით. დარწმუნებული ვარ, წმინდა კომერციული მიზნების გარდა ეს სიყვარულიც გამოძრავებთ.**

— ცხადია, არც უამისობაა, მაგრამ უმთავრესი გახლავთ ერის ცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობის შეგნება. საქართველოს შეუძლია, სჭირდება და უნდა იყოს კიდეც სპორტული რესპუბლიკა. სპორტულში, რა თქმა უნდა, მხოლოდ ოლიმპიადების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მედლების მოპოვებას არ ვგულისხმობ — მთავარი ქართველთა ჯანმრთელობაა. აი, სწორედ ამიტომ ვცდილობთ განსაკუთრებულად ვუქომაგოთ ქართულ ჭიდაობას — იგი ხომ ყველაზე ღვიძლი, ეროვნული სახეობაა ჩვენთვის და ფეხზე მყარად უნდა იდგეს. ცხადია, არც ჩვენი უპირველესი და საერთო სიყვარულის საგანს — ფეხბურთს დავივიწყებთ — მიხეილ მესხის სახელობის ტურნირის ერთ-ერთი სპონსორობა თეთრონელებმა პატივად დ. ამ პიროვნულად ფეხბურთელისადმი — მადლიერების გრძნობის გამოხატულებად ძიძინეს.

● **ჩვენ დღევანდელ ყოფას უამრავი გადაუდებელი პრობლემა ამძიმებს. სპორტი სპორტად, მაგრამ, იმდენ და ისეთ ხატკივარს უნდა ველა...**

— მივხვდი, რასაც გულისხმობთ. „თეთრონი“ ერისათვის საარსებო მნიშვნელობის არც ერთ წამოწყებას არ გამოაკლდება. მაგალითისთვის გეტყვით: ჩვენი საწარმო გულმოწყალების რესპუბლიკური ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელიც გახლავთ.

● **დასასრულ, ერთი „კვიმატი“ შეკითხვა. ვინმე რომ დაინტერესდეს, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, ნეტავ, საწარმოში როგორლა აქვთ მოგვარებული ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობაო, ხომ არ „ჩაიჭრებით?“**

— არა მგონია. აქვე, ჩვენ საწარმოსთან, ლოჭინის დასახლებაში მოვაწყეთ მარტივი ტიპის სპორტული მოედანი. ვიფიქრეთ, ჩვენი მუშებიც გამოიყენებენ და აქ მცხოვრები მოზარდებიც. რაღა დაგიმალოთ, იმედი მთლიანად ვერ გაგვიმართლდა — ქალაქის ცენტრიდან საკმაოდ დაშორებული ვართ, თან უმრავლესობას სხვადასხვა ცვლაში უწევს მუშაობა, ასე რომ, ბავშვებს კი გამოადგათ მოედანი, მაგრამ მუშებს — ვერა. ამიტომ ვიქირავეთ ასკ-ის დარბაზი, სადაც „თეთრონის“ ენთუზიასტი ფიზკულტურელები შაბათ-კვირაობით იკრიბებიან.

ესაუბრა **თამაზ მიგრიაული.**

ჩემპიონი და ორი პრიზიორი

ტურნირის ექო

ეს ერთი ხანია, რაც საბჭოთა კავშირის მოზარდთა პირველობა ჭადრაკში მოსწავლეთა საახალწლო არდადეგების პერიოდში ტარდება. ასე მოხდა ამჟამადაც. 4-14 იანვარს კალინინგრადში ჩატარდა საკავშირო პირველობა გოგონათა შორის. ამ შეჯიბრების 5-5 უძლიერესი 18 და 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობების შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლებას იღებდა. შეჯიბრებაში თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელი (ესტონელთა გარდა), სულ 54 მოჭადრაკე ჩაება. ტურნირის მთავარი მსაჯი გახლდათ საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. კოკორინი (ჩელიაბინსკი). ასპარეზობა ჩატარდა შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად. დებულების თანახმად, სათამაშოდ დაუშვეს 1972 წელს და უფრო გვიან დაბადებული მოჭადრაკეები, ხოლო ჩათვლა ორ ასაკობრივ ჯგუფში ხდებოდა: 18 წლამდე ასაკის ქალიშვილებსა და კადეტებს — 16 წლამდე ასაკის გოგონებს შორის.

წლევანდელი პირველობა გამოირჩეოდა განსაკუთრებით ძლიერი შემადგენლობით. მასში მონაწილეობდა 2 ოსტატი, 3 მსოფლიოს ჩემპიონი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში (თეა ლანჩავა, ანა სეგალი და დიანა დარჩია), 7 მსოფლიო პირველობის მონაწილე, სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი ჟანა შური, კადეტთა შორის გამარჯვებული იულია ლევიტანი, პრიზიორები ეკატერინე კოვალევსკაია, სოფიკო ნიკოლაძე, 46 ოსტატობის კანდიდატი და მხოლოდ 6 პირველთანრიგოსანი.

ჩვენი რესპუბლიკაც სასპარეზოდ თავისი უძლიერესი შემადგენლობით ჩავიდა. აი ისინიც: ოსტატები, საქართველოს ჩემპიონი და რესპუბლიკის ექს-ჩემპიონი ქალთა შორის ნათია ჯანჯღავა და სოფიკო ტერელაძე, მსოფლიო ჩემპიონები თეა ლანჩავა და დიანა დარჩია, საქართველოს ჩემპიონი ნინო ხურციძე, სოფიკო ნიკოლაძე, ნატო ეძგვერაძე, საქართველოს მოსწავლეთა პირველობის პრიზიორები ინგა ხურცილავა და ეკა ტაბატაძე.

ნინო ხურციძე

ნატო ეძგვერაძე

ნათია ჯანჯღავა

პირველივე ტურებიდან ნათელი გახდა, რომ საქართველოს წარმომადგენლები სერიოზულ პრეტენზიას აცხადებდნენ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში. 3 ტურის შემდეგ ლიდერთა ათეულში 6 ქართველი გოგონა შედიოდა. აქედან დაწყებული მსაჯთა კოლეგიამ კენჭისყრის შემდეგ, ნებით თუ უნებლიეთ, 7 ქართული წყვილი შეახვედრა ერთმანეთს, რამაც, რა თქმა უნდა, ჩვენი გოგოების ხელოვნური დამუხრუჭება გამოიწვია. ამას გარდა, კალინინგრადში გრიპის ეპიდემია მძვინვარებდა (რის გამოც ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსწავლეთა ზამთრის არდადეგები 22 იანვრამდე გააგრძელა). ეპიდემიას ვერ აცდნენ ტურნირის მონაწილეებიც. ქართველი გოგოებიდან პირველი ტერელაძე გაგვიხდა ავად, რასაც სასტარტო ტურებში სამი მარცხი მოჰყვა. II ტურში დარჩიას მისცა მაღალი სიცხე, საღამოს კი ლანჩავას მოერია გრიპის ვირუსი.

ხუთი ტურის შემდეგ ტურნირს 4,5-4,5 ქულით ლიდერობდნენ ნინო ხურციძე, ანჟელა გრიგორიევა (კიშინიოვი) და ასემ ხაიროვა (ალმა-ათა). 3,5-3,5 ქულა ჰქონდათ ნათია ჯანჯღავასა და სოფიკო ნიკოლაძეს, 3-3 ქულა კი თეა ლანჩავასა და ნატო ეძგვერაძეს.

ბოლო ოთხი ტური შესანიშნავად განვლეს ხურციძემ და ეძგვერაძემ, პირველმა 4 შესაძლებლიდან 3 ქულა მოაგროვა და 7,5 ქულათ ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა, მეორემ კი 3,5 ქულა აიღო და 6,5 ქულით II-VI ადგილები გაიყო ირინა ზაკსა (კიშინიოვი; II ადგილი), ნატაშა მინკინსა (ვოლგოგრადი; III), ნათია ჯანჯღავასა (IV) და ნატაშა ხუდგარიანთან (მოსკოვი; V) ერთად. ეძგვერაძეს უარესი კოეფიციენტის გამო VI ადგილი ერგო. სამაგიეროდ, ქართველმა გოგონამ II-III ადგილები გაიყო კადეტთა შორის, კოეფიციენტთა დათვლისას მას III ადგილი დარჩა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა გამარჯვებულმა გოგოებმა თბილისის ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სპორტულ სკოლაში აიდგეს ფეხი.

ამრიგად, მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს 16 წლამდე ასაკის გოგონათა შორის ნინო ხურციძემ, ნატაშა მინკინამ, ნატო ეძგვერაძემ, ილაკა კადიმოვამ (მინსკი; 6 ქულა) და მარია მანაკოვამ (მოსკოვი; 5,5). 18 წლამდე ასაკის გოგონათა შორის კი — ირინა ზაკმა, ნათია ჯანჯღავამ, ნატაშა ხუდგარიანმა, იულია ლევიტანმა (მინსკი; 6) და მაშა ოვეზოვამ (აშხაბადი; 5,5). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დებულების თანახმად იმ კადეტებს, რომელთაც „ბედმა გაუღიმათ“, არჩევანის უფლება აქვთ: დიდებში ითამაშონ თუ უმცროსებში. შესარჩევი ტურნირები კი გაზაფხულზე მოსკოვში ჩატარდება.

რამდენიმე სიტყვა გამარჯვებულებისა და დებიუტანტების შესახებ:

15 წლის **ნინო ხურციძე** თბილისის 132-ე სკოლის IX კლასის მოსწავლეა, ოსტატობის კანდიდატია, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი გახლავთ (ორჯერ — უმცროსი ასაკის გოგონათა შორის, ორჯერ — მოსწავლეთა შორის, ერთხელ, 1989 წელს, ქალთა შორის), საბჭოთა კავშირის ჩემპიონი პირველად გახდა. მეცადინეობს ბიძის — ელგუჯა ფხაკაძის ხელმძღვანელობით. უდაოდ ნიჭიერი, ბეჯითი და პერსპექტიული მოჭადრაკეა. ტურნირი დაუმარცხებლად განვლო — 6 გამარჯვება და 3 ყაიმი.

17 წლის **ნათია ჯანჯღავა** თბილისის მე-18 საშუალო სკოლის XI კლასელია, ოსტატია, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, 1989 წლის ქალთა ჩემპიონი, 1988 წელს იყო საკავშირო პირველობის მეორე პრიზიორი 18 წლამდე ასაკის გოგონათა შორის, კადეტთა ჩემპიონი, მსოფლიო პირველობის მონაწილე. მეცადინეობს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ალექსანდრე იზვოზჩიკოვის ხელმძღვანელობით. მისთვის ტურნირის შედეგი დამაკმაყოფილებელია, მოიგო 5, ყაიმით დაამთავრა 3 და წააგო 1 პარტია. იმედი გვაქვს, ნათია მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირშიც გვასახელებს.

15 წლის **ნატო ეძგვერაძე** თბილისის 24-ე საშუალო სკოლის IX კლასელია, ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს 1989 წლის ჩემპიონია 18 წლამდე ასაკის გოგონათა შორის, 14 წლამდე გოგონათა 1989 წლის საკავშირო პირველობის ჩემპიონია, მსოფლიოს პირველობის შესარჩევი ტურნირის III პრიზიორი გახლავთ. მეცადინეობს ჩემი ხელმძღვანელობით, ამიტომ დახასიათებისგან თავს შევიკავებ. გამოირჩევა მტკიცე ნებისყოფით. განვლილ ტურნირში 5 პარტია მოიგო, 3 ყაიმი და 1 წააგო. თანაც, ბოლო 5 ტურში 4,5 ქულა აიღო!

თეა ლანჩავას ტიტულების ჩამოთვლას აღარ შევუდგები, ის ნამდვილი სპორტსმენია, ამჟამად ავადმყოფობამ შეუშალა ხელი. მსოფლიო პირველობაზე პერსონალურადაა დაშვებული, როგორც 16 წლამდე ასაკის გოგონებს შორის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი.

დიანა დარჩიაც ავად იყო, თანაც ასაკით ყველაზე უმცროსია. ისიც დაშვებულია მსოფლიო პირველობაზე, როგორც 12 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონი.

სოფიკო ნიკოლაძისა და **სოფიკო ტერელაძისგან** კი, რა თქმა უნდა, მეტს ველოდით.

რაც შეეხებათ პირველობის დებიუტანტებს **ინგა ხურცილავასა** და **ეკა ტაბატაძის** მოკრძალებულ შედეგებს, ეს მათ გამოუცდელობასა და ზედმეტ ღელვას უნდა დავაბრალოთ.

ბიორგი ხომერიკი,
თბილისის ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

ნოდარ ჯანგირაშვილის ხსოვნას მიეძღვნა

თბილისის ტრამვაის საწარმოში მოეწყო საწარმოს ყოფილი ფიზკულტურის ინსტრუქტორის, 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ჯანგირაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მუშა-მოსამსახურეთა პირადი პირველობა ჭადრაკში. I ადგილზე გავიდა ტრამვაის მძღოლი რ. ალიევი. სამეულში მოხვდნენ, აგრეთვე, უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი ზ. ჯარიაშვილი და საწარმოს დირექტორის მოადგილე ვ. ფანცულაია.

ს. ძებისაშვილი,
ტრამვაის საწარმოს ინსტრუქტორ-მეთოდისტი.

— — — — — —

თანამშრომლები — ოჯახებით

ხალისიანი გამოდგა ყვარლის სპორტდარბაზში გამართული საოჯახო სპარტაკიადა, რომლის ინიციატორები იყვნენ საქართველოს ალკკ კომკავშირის ყვარლის რაიკომისა და „შევარდენის“ ყვარლის რაისაბჭო. სპარტაკიადაში რაიონის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების თანამშრომელთა ოჯახები გამოდიოდნენ. ჩემპიონი გახდა ენისელის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის თანამშრომლის ვიქტორ ლეგაშვილის ოჯახი. მეორე ადგილზე გამოვიდა „ქინძმარაულის“ საწარმოო გაერთიანების თანამშრომლის კობა ბიქოშვილის, ხოლო მესამეზე — ჭიკაანის კოლმეურნეობის თანამშრომლის გურამ კანდელაკის ოჯახი.

მ. ბარძიმაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
ყვარელი.

— — — — — —

რვა სახეობაში...

ჭადრაკი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ცურვა, ტურისტული მრავალჭიდი — აი, ის სახეობები, რომლებიც შედიოდა „შევარდენის“ ზესტაფონის რაიონული საბჭოს სპარტაკიადის პროგრამაში. შეჯიბრებაში რაიონის წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 33 ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა. ყველას აჯობა ცენტრმეტალურგშენის სპეციალიზებული სამმართველოს ფიზკულტურულმა კოლექტივმა. მეორე იყო ფეროშენადნობთა ქარხნის, ხოლო მესამე — ადგილმრეწველობის ფიზკულტურული კოლექტივი.

ჯ. მახათაძე.

ქართული ფეხბურთის პრობლემები

ფუნქციები განაწილდა

გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ბიუროს პირველი სხდომა, სადაც განაწილდა ფედერაციის ხელმძღვანელი მუშაკების ფუნქციები. ნ. სიმონიანი პასუხისმგებელია ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთკავშირებზე და სამედიცინო მომსახურებაზე, კ. ბესკოვი — შეჯიბრებათა ჩატარებაზე, მსაჯთა სადისციპლინო და ინსპექტორთა საქმიანობაზე, ა. ტუკმანოვი ხელმძღვანელობს სპორტნაგებობებს, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და ფინანსურ-ეკონომიკურ მუშაობას, ვ. პოდგორნოვი — მასობრივი ფეხბურთის კომიტეტს და ქალთა ფეხბურთს, ი. ნიკოვი — მოზარდთა ფეხბურთის კომიტეტს და მასობრივი ინფორმაციის ორგანოებთან ურთიერთობას. ფედერაციის თავმჯდომარე ვ. კოლოსკოვი უხელმძღვანელებს იურიდიულ კომიტეტს.

სხდომაზე განიხილეს 1990 წლის საკავშირო შეჯიბრებათა სტრუქტურა, აგრეთვე, სსრ კავშირის პირველი, ოლიმპიური და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მოთამაშეთა ანაზღაურების საკითხები. 29 იანვარს ფედერაციის აღმასკომის ბიურო კვლავ შეიკრიბება და განიხილავს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისის პრობლემებს, აგრეთვე, ჩვენი ფეხბურთის სპეციალისტების (მწვრთნელები და მოთამაშეები) უცხოეთში გამგზავრების საკითხს.

ფინალი ნაიფორხილეს

შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში მიმდინარე მინიფეხბურთის საერთაშორისო ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთის „ბორდოსა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

გადამწყვეტი მატჩი დამთავრდა „ბორდოს“ გამარჯვებით — 6:4. ფრანგმა ფეხბურთელებმა პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო თბილისის „დინამომ“ — მეორე.

მემორიალი დამთავრდა

ლენინგრადში დამთავრდა ვ. გრანატკინის ტრადიციული მემორიალური საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. გათამაშების ბოლო დღეს სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა და გფრ-ის გუნდმა ფრედ ითამაშეს — 2:2. ჩინეთისა და სსრ კავშირის მეორე ნაკრების შეხვედრაში წარმატებას ჩინელებმა მიაღწიეს — 2:0, ფინეთისა და გდრ-ის გუნდების შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

მემორიალის საბოლოო შედეგები ასეთია: 1 ადგილი. სსრ კავშირის პირველი ნაკრები — 9 ქულა, 2. ჩინეთი — 8. 3. გფრ — 6, 4. გდრ — 4, 5. სსრ კავშირი-II —2, 6. ფინეთი — 1.

„ფრანს ფუტბოლის“ კლასიფიკაცია

ცნობილმა ფრანგულმა ყოველკვირეულმა საფეხბურთო გამოცემა „ფრანს ფუტბოლმა“ გამოაქვეყნა 1989 წლის ევროპის ნაკრები გუნდების ტრადიციული რეესტრი.

„ფრანს ფუტბოლის“ კლასიფიკაცია ასეთია: 1. ჰოლანდია, 2. ბელგია, 3-4. ირლანდია და ესპანეთი, 5. იუგოსლავია, 6. ინგლისი, 7-8. გფრ და სსრ კავშირი, 9. იტალია, 10. შვეიცია, 11. ჩეხოსლოვაკია, 12. დანია, 13. რუმინეთი, 14. შოტლანდია, 15-16. საფრანგეთი და პორტუგალია, 17. ავსტრია, 18. პოლონეთი, 19 გდრ, 20. ნორვეგია, 21. თურქეთი.

ცნობილია, რომ ყოველი საქმის წარმატება პირველ რიგში დამოკიდებულია კადრებზე, იმ ადამიანებზე, ვინც უშუალოდ მონაწილეობს ამ პროცესში. როცა საქმე ფეხბურთს ეხება, ეს ნიშნავს, რომ მისი განვითარება დიდად არის დამოკიდებული ფეხბურთელების, მწვრთნელების, მსაჯების, ხელმძღვანელების პროფესიულ კომპეტენტურობაზე, მათზე, ვინც მონაწილეობს საფეხბურთო ცხოვრებაში. სპორტული სკოლები, გუნდები მხოლოდ იმ შემთხვევაში აღწევენ მაღალ შედეგებს, როცა მათ მომზადებას მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელი ხელმძღვანელობს. სპორტი პედაგოგისგან მოითხოვს მუდმივად ახლის ძიებას.

რესპუბლიკაში მომუშავე 410 მწვრთნელიდან უმაღლესი სპეციალური განათლება 55 პროცენტს აქვს მიღებული. მათ შორის 10-მა დაამთავრა მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა, აქედან ოსტატთა გუნდებში მუშაობს 5 კაცი. მათ შორის უმაღლეს ლიგაში—2, პირველში —2 და მეორეში — ერთი.

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის ოქროს ფონდის ათვისება ნაკლებპროდუქტიულია. ბოლო წლებში მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში და ფიზკულტურის ინსტიტუტშიც სულ უფრო იშვიათად მოდის მაღალი კვალიფიკაციის ფეხბურთელი. მიუხედავად მწვრთნელთა კადრების დეფიციტისა, 1987-88 წლებში მწვრთნელთა უმაღლესი სკოლის ვაკანსია ათვისებული არ იყო, გაუგებარია, რატომ არ ვიყენებთ კადრების მომზადების ისეთ ეფექტურ ფორმებს, როგორიცაა სტაჟირება და მიზნობრივი ასპირანტურა. მწვრთნელთა პროფესიული ოსტატობის ზრდას ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის დროებითი წარმატებებისგან თავბრუდახვევა, თვითკმაყოფილების გრძნობა.

თბილისის ერთ-ერთი სპორტული სკოლის მწვრთნელთა წინაშე დირექციის მიერ დასახული იყო ამოცანა: აღენუსხათ ის მომეცადინეები, რომელთა მომზადება და გადაცემა შესაძლებელი იქნებოდა თბილისის „დინამოსთვის“. ასეთთა რაოდენობა იქ, თურმე... 100-ზე მეტი აღმოჩნდა. ძნელია არ დაგაეჭვოს ამ ციფრის რეალობამ, მაშინ, როცა რესპუბლიკის ყველა სპორტული სკოლიდან რესპუბლიკის უძლიერეს გუნდში ყოველწლიურად მხოლოდ ერთეულები თუ იმკვიდრებენ ადგილს. რით აიხსნება მწვრთნელთა ასეთი მოჭარბებული ოპტიმიზმი? ჩვენი აზრით, მწვრთნელებს, რომლებიც ჭაბუკ ფეხბურთელებთან მუშაობენ, არა აქვთ ნათელი წარმოდგენა მზარდი მოთხოვნების მთლიან კომპლექსზე, რომელთა პრაქტიკული გადაჭრა აუცილებელია თანამედროვე, მაღალი კლასის ფეხბურთელის მომზადებისთვის. მწვრთნელმა აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ საჭიროა მოსწავლეს ნამდვილად ჰქონდეს ნიჭი, საჭიროა სასწავლო-საწვრთნელი პროცესისთვის აუცილებელი პირობები, საკუთარი პროფესიული უნარი და სხვა მრავალი. უამისოდ მაღალი კლასის ფეხბურთელს ვერ გაზრდი.

მწვრთნელთა კადრების მომზადების საქმეში არანაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ ფეხბურთის კათედრის პედაგოგებს. სტუდენტთა პრაქტიკული და დამოუკიდებელი მუშაობის გაზრდის მიზნით გადაისინჯა სასწავლო პროგრამები, ინსტიტუტთან შეიქმნა ჭაბუკ ფეხბურთელთა ექსპერიმენტული ჯგუფები, ამ ჯგუფების არსებობამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეფართოებინა სტუდენტთა უწყვეტი საწვრთნელი პრაქტიკის მასშტაბები. ცვლილებები იქნა შეტანილი, აგრეთვე, მწვრთნელთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის პროგრამაში იმ მიმართებით, რომ ერთთვიანი მეცადინეობის დამთავრების შემდეგ მსმენელს შეძლებოდა თავისი ნებისმიერი ჯგუფისთვის სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობის წლიური მიზნობრივი პროგრამის შედგენა, მისი პრაქტიკული რეალიზაცია და მრავალი სხვა.

რესპუბლიკაში კვალიფიცირებული კადრების სიმცირემ განაპირობა ისიც, რომ არ მოხერხდა ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილი ფეხბურთის ლაბორატორიის სრულფასოვნად დაკომპლექტება. არადა ლაბორატორიის შექმნას ყველა დიდი იმედით მოველოდით.

გვინდა ყურადღება მივაპყროთ კიდევ ერთ გარემოებას. ჩვენში ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული სპეციალისტთა პროფესიული მომზადების ამაღლების ისეთი ქმედითი ფორმა, როგორიცაა მუდმივმოქმედი საქალაქო (ან შეიძლება რესპუბლიკურიც) სემინარის ორგანიზაცია აქტუალურ საკითხებზე: „თანამედროვე ფეხბურთის პრობლემები და ჩვენი ამოცანები“.

ფეხბურთში მასობრივი შეჯიბრებების ორგანიზაციას მსაჯთა კადრების ნაკლებობაც უშლის ხელს. თანდათან თმობს თავის პოზიციებს ჩვენი მსაჯთა კორპუსი საკავშირო პირველობის მატჩების მომსახურებისას. ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრასთან ორგანიზებულმა მსაჯთა სკოლამ ერთი გამოშვების შემდეგ შეწყვიტა არსებობა. რესპუბლიკის ჩემპიონატის მატჩების მსაჯობის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია. არადა, მსაჯობის ხარისხის ამაღლება დადებითად იმოქმედებს ქართული ფეხბურთის განვითარებაზე და ამიტომაც ამ მიმართებით გადამჭრელი ზომების მიღებაა საჭირო. პირველ რიგში უნდა აღვადგინოთ ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტულ სკოლებში მსაჯთა მომზადების დადებითი გამოცდილება, ფეხბურთის კათედრას შეუძლია თბილისის მსაჯთა კოლეგიასთან, ფეხბურთის სამმართველოსთან ერთად კვლავ ჩაუდგეს სათავეში „მსაჯთა სკოლის“ შექმნის საქმეს. ამ სერიოზული პრობლემის გადაჭრაში მეტად ეფექტურია ყოფილ ფეხბურთელთაგან მსაჯთა კადრების მომზადება.

ქართული ფეხბურთის აწმყო და მომავალი დიდად არის დამოკიდებული საფეხბურთო რეზერვის მომზადებაზე. პრობლემის აქტუალობაზე მიგვანიშნებს იმ ფაქტების სიმრავლეც, როცა მწვრთნელების უმრავლესობა წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად გუნდებში მოსული ახალგაზრდა ფეხბურთელების მომზადებულობის დაბალ დონეს მიიჩნევენ.

ჭაბუკ ფეხბურთელებთან მუშაობის პრობლემასთან დაკავშირებით ბევრ საკითხს შევეხეთ, კიდევ უფრო მეტის შესახებ შეიძლება მოსაზრების გამოთქმა, მით უმეტეს, რომ კათედრას წლების განმავლობაში მჭიდრო კონტაქტები აქვს თბილისის წამყვანი საფეხბურთო სკოლების კოლექტივებთან.

ბავშვებთან მუშაობის დარგში იმდენი პრობლემა დაგროვდა, რომ ამაზე ცალკე საუბარია საჭირო. საქართველოში ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის დონე საკმაოდ მაღალია, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ მკვეთრად გაუმჯობესდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამეცადინო ადგილები და სხვა მრავალი.

შემდეგი გარემოება, რაც სადღეისოდ აქტუალურად მიგვაჩნია, ესაა ოსტატთა გუნდების ხელმძღვანელობის სუსტი კონტაქტი ჭაბუკ ფეხბურთელებთან მომუშავე ადამიანებთან. საფეხბურთო სკოლების მუშაობით დაინტერესება ოსტატთა გუნდების მწვრთნელთა მხრივ სიტყვიერ განცხადებებს არ სცილდება, არაა პრაქტიკული დახმარება. საერთოდ, რესპუბლიკაში პრაქტიკული მდგომარეობაა, მაღალი კლასის ფეხბურთელს - ბომბადებისთვის მატერიალურ ხარჯებს ძირითადად იღებს უწყება, რომელსაც არა ჰყავს ოსტატთა გუნდი.

წინამდებარე სტატიაში შეეცადეთ ემოციების გარეშე, ობიექტურად შეგვეფასებინა ქართულ ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობა. პრობლემები, რომლებსაც შევეხეთ, რეალურად არსებობს და საჭიროა მათი მოგვარება. არის კიდევ საკითხები, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვენ, მათ შორის, ჩვენი აზრით, ერთი კიდევ მეტად მნიშვნელოვანი საკითხი — ფეხბურთს უნდა უხელმძღვანელონ ამ საქმის მცოდნე, პროფესიულმა და კომპეტენტურმა ადამიანებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრი პრობლემა კვლავ გადაუჭრელი დარჩება.

არის კიდევ ერთი პრაქტიკული საკითხი, რომელიც, როცა ვლაპარაკობთ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე და მისი შედეგების მიხედვით ფიფა-სა და უეფა-ს შეჯიბრებებში ჩვენი გუნდების მონაწილეობაზე, ბევრს მხედველობიდან გამორჩა. ესაა ის მოთხოვნები, რომელსაც ფეხბურთის ხელმძღვანელი საერთაშორისო ორგანოები ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობისას წარუდგენენ მასში გაერთიანებულ ქვეყნებს — სათადარიგო მინდორი, დასურული დარბაზი, აღდგენითი ცენტრი, სასტუმრო, კლუბთან არსებული საფეხბურთო რეზერვი და ა. შ. სამწუხაროდ, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება დღეს, ალბათ, მხოლოდ თბილისის „დინამოს“ თუ შეუძლია.

დასასრულს, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნული საფეხბურთო ლიგის შექმნა უდავოდ პროგრესული მოვლენა იქნება ქართული ფეხბურთისთვის, მაგრამ მისი რეალური განხორციელებისთვის აუცილებლად მიგვაჩნია ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრა.

საჭიროა ყველამ ერთად ვეძებოთ რთულ პრობლემათა გადაჭრის გზები. ეს მეტად შრომატევადი, წინააღმდეგობებით სავსე პროცესია, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს, ეს გზა უნდა გავიაროთ, თუ გვინდა, რომ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ლიგა ღირსეულად იქნას წარმოდგენილი საერთაშორისო ასპარეზზე.

ავთანდილ ჭკუასელი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის გამგე, დოცენტი, სპორტის ოსტატი.

ამჯერადაც პირველ ადგილზე

ამ დღეებში კიდევ ერთ საკავშირო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლებმა და რაოდენ სასიხარულოა, რომ მათ ქ. ბელგოროდში გამართულ ასპარეზობაშიც არავის დაუთმეს პირველი ადგილი.

35-ე სკოლამ აქაც დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი უძლიერესია კავშირში. ცხრა გუნდთან ორთაბრძოლაში მან ყველა მატჩი მოიგო და ბურთების საუკეთესო შეფარდებით — 17:1 — პირველი ადგილი დაიკავა. გადამწყვეტ ფინალურ შეხვედრაში კი კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს, კიევის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლის გუნდს სძლია — 3:0. გამარჯვებულ გუნდს წვრთნიან ვ. ნადირაძე და მ. ანთიძე.

საუკეთესო მოთამაშეებისათვის დაწესებული პრიზები ხვდათ ჩვენს მოთამაშეებს. საუკეთესო ნახევარმცველად მიიჩნიეს ირაკლი ნადირაძე, ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელად პაატა ჯინჭარაძე.

სურათზე: საკავშირო ტურნირში გამარჯვებული 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდი.

ფეხბურთის ახალი ამბები

● **ბრაზილიის** „ვასკო და გამა“ ევროპული კლუბებისათვის მოთამაშეთა დიდ ექსპორტიორად იქცა. ბოლო ცნობით ფორვარდი მაურიზინიო ესპანეთის „სელტაში“ შეცვლის თავის თანამემამულესა და ყოფილ თანაგუნდელ სილვას, რომლის თამაშიც არ აკმაყოფილებს ესპანურ კლუბს.

● **იტალიის** „ნაპოლი“ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დაემშვიდობება ბრაზილიელ ალემაოს, რომელსაც ახლა „სამპდორიასთან“ აქვს მოლაპარაკება. მის მაგივრად ნეაპოლელ ტიფოზებს ახალი კერპი ეყოლებათ. ესაა ასევე ბრაზილიელი, 1989 წლის სამხრეთ ამერიკის პირველობის საუკეთესო მოთამაშე ბებეტო.

(სპკ. ინფ.)

არარსებული კლუბი

შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ უარი განაცხადა თავისი ქვეყნის II ლიგაში ჩართოს ირლანდიის ქალაქ დუბლინის კლუბი. უარის მოტივი იყო გუნდების ისედაც დიდი რაოდენობა შოტლანდიის პირველობაზე.

მაგრამ ნაწყენი ამით არავინ დარჩენილა, ვინაიდან დუბლინის ასეთი კლუბი სინამდვილეში ...არ არსებობს. უბრალოდ, ირლანდიელ ბიზნესმენთა ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ უფრო ხელსაყრელია კლუბი შოტლანდიაში ჰყავდეს, ვიდრე შინ და ამიტომაც შეეცადა ჯერ ადგილი დაეჯავშნა შოტლანდიის II ლიგაში და უკვე შემდეგ შეექმნა თვით კლუბი.

დეგოზი კალკუტის სტადიონზე

32 კაცი, მათ შორის პოლიციელებიც მძიმედ დაშავდნენ იმ უწესრიგობის შედეგად, რომელიც კალკუტის სტადიონზე მოხდა საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალურ მატჩში პარაგვაის „ოლიმპიასა“ და ინდოეთის „მუჰამედან სპორტინგის“ ფეხბურთელთა შორის.

მიმდინარეობდა მატჩის 29-ე წუთი, როცა „სპორტინგის“ მცველმა თავის საჯარიმო მოედანზე უხეშად ითამაშა პარაგვაელი ფეხბურთელის რობსონ რეტამოსოს წინააღმდეგ. მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა, რომელიც ზუსტად გამოიყენა თვით რ. რეტამოსომ. ინდოეთის გუნდის ქომაგებმა ამას თავისებური რეაქცია მისცეს, დაამსხვრიეს ყველაფერი, რაც კი ხელთ მოხვდათ და, როგორც ხედავთ, შედეგიც ასეთი მძიმეა.

კლუბები დაშალეს

რუმინეთის ეროვნული ხსნის კომიტეტმა დადგინა დაშალოს საფეხბურთო კლუბები „ვიქტორია“ (ბუქარესტი) და ოლტ (პიტეშტი) იმის გამო, რომ მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ყოფილი დიქტატორის ნ. ჩაუშესკუს რეჟიმთან. ეს ცნობა გამოაქვეყნა იუპი-ს სააგენტომ.

კომიტეტის განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს გუნდები რეჟიმის მფარველობით სისტემატურად არღვევდნენ არსებულ კანონებსა და სპორტულ წესებს. ორივე კლუბის ფეხბურთელებს უფლება აქვთ სხვა გუნდებში ითამაშონ.

„გრონინგენის“ სახსნელად

ცნობილმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა ძმებმა რონალდ და ერვინ კუმანებმა გადაწყვიტეს გაკოტრებისგან იხსნან ცნობილი კლუბი „გრონინგენი“, სადაც მათ თავიანთი სპორტული კარიერა დაიწყეს.

ძმებმა 4 ათასი დოლარად ღირებულების 1500-ბილეთი შეიძინეს „გრონინგენის“ მომავალ მატჩზე, კლუბის ზარალი კი 4 მილიონს აღწევს. ფინანსური კრახი რომ თავიდან აიცილოს, კლუბმა უახლოეს ხანებში არანაკლებ 100 ათასი დოლარი უნდა იშოვოს.

სტუმარმა ნდობა გაამართლა

ბურამ ბიგანიშვილის წარმატება სან-დიეგოში

სან-დიეგო ნამდვილად სულ სხვაა!

ამ ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით მდებარე ქალაქთან შედარებით ყურის ძირში გვაქვს სევასტოპოლი თუ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქები, სადაც აფროსანთა საკავშირო შეჯიბრებები იმართება. მაგრამ რად გინდა? რამდენჯერ შევთანხმებულვართ ამ შეჯიბრებებზე გამგზავრებულ გურამ ბიგანიშვილთან და მის მწვრთნელ თემურ მელაძესთან — აფროსანთა ჩემპიონატებიდან ცნობები ძალზე ძუნწად მოგვდის, ამიტომ ერთმანეთს ტელეფონით დავკავშირებოდით. მათაც ბევრი უცდიათ და ჩვენც, მაგრამ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სულ ტყუილად გავჯლეკართ.

სან-დიეგოდან კი... შარშან ამ ქალაქის საიალქნო კლუბის მიერ მიწვეულმა ბიგანიშვილმა და მელაძემ წყნარ ოკეანეში გასული კატარღიდან დარეკეს თბილისში, ასე რომ, რაც უფრო შორს იმყოფება ჩვენი ცნობილი აფროსანი, მით უფრო მეტი იმედი გვაქვს ინფორმაციის დეფიციტისგან თავის დაღწევისა. ამიტომაც იყო, შარშან, დეკემბრის ბოლოს სან-დიეგოში კვლავ მიწვეულ გურამს გულდაარხეინებულებმა რომ ვთხოვეთ, თუ რამ საინტერესო მოხდა, არ დაიზაროო, აუცილებლად გაგვაგებინეო.

მოხდა და გაგვაგებინა კიდეც. ორიოდე დღის წინ შევხვდით თემურ მელაძეს და აი, რა გვაცნობა მან:

ახლახან სან-დიეგოში გამართულა ტრადიციული საახალწლო რეგატა, რომელშიც მონაწილეობა მიუღიათ „ვარსკვლავის“ კლასის ნავებით მოასპარეზე ამერიკის უძლიერეს აფროსნებს — სამგზის მსოფლიო ჩემპიონს ბრუნს, მსოფლიო ჩემპიონსა და სეულის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანს მარკ რეინოლდსს, რომელიც ახლახან თბილისში სტუმრობდა გურამთან და ამის შესახებ მასალაც დაიბეჭდა „ლელოში“, 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ჩემპიონს ბილ ბაკენს და სხვებს, სულ 36 სპორტსმენს. მათთან ერთად ისასპარეზა გურამ ბიგანიშვილმა. სან-დიეგოს საიალქნო კლუბმა ამ შეჯიბრებისთვის სტუმარს ნავი ათხოვა და გურამმაც გაამართლა ნდობა — პირველი ადგილი დაიკავა.

სან-დიეგოს საიალქნო კლუბმა უკვე მეორედ მიგვიწვია. თებერვლის ბოლოს მე და ბიგანიშვილის მებაგირე ალექსანდრ მუზიჩენკოც შევუერთდებით გურამს და შევუდგებით ერთობლივ წვრთნას ამერიკელ აფროსნებთან ერთად. ბიგანიშვილი მონაწილეობას მიიღებს ამერიკის ღია პირველობაშიც. ამერიკელ აფროსნებთან წვრთნა და ასპარეზობა მზადების საუცხოო საშუალებაა, რადგან „ვარსკვლავის“ კლასში უძლიერესებად ისინი ითვლებიან. გაითვალისწინეთ ისიც, რომ წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ამ კლასში სწორედ ამერიკაში უნდა გაიმართოს, ასე რომ, თუ გურამმა ამ შეჯიბრებაში ისასპარეზა, იგი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდება მეტოქეებს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ორი განსხვავებული ტაიმი

შედგა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩი.

კაუნასი. „ჟალგირისისა“ და რიგის ვეფ-ის შეხვედრის პირველი ნახევრის მიხედვით მასპინძლებს, ამ შეხვედრაში, პრობლემები არ უნდა ჰქონოდათ. ამის გარანტიას იძლეოდა 11 ქულიანი უპირატესობა, რომლითაც დაამთავრეს ტაიმი ლიტველმა კალათბურთელებმა (46:35). მაგრამ შესვენების შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა. ვეფ-მა შესძლო მდგომარეობის გათანაბრება და ბოლოს სასურველ გამარჯვებასაც მიაღწია — 89:88.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 იანვრისათვის

ცსკა	25	21	4	46
„ბუდიველ.“ (კ.)	26	17	9	43
ვეფ (რიგა)	27	16	11	43
„დინამო“ (მ.)	24	16	8	40
რტი (მინსკი)	28	12	16	40
„კალევი“ (ტალ.)	25	14	11	39
„ჟალგირ.“ (კაუნ.)	26	12	14	38
ასკ (ალმა-ათა)	22	15	7	37
„სპარტ.“ (ლენ.)	27	10	17	37
„დინამო“ (თბ.)	25	9	16	34
„შახტ.“ (დონ.)	24	7	17	31
„სტატიბა“ (ვილნ.)	26	4	22	30

ევროპის საკლუბო თასებზე

გრძელდება ევროპის კალათბურთელთა საკლუბო ტურნირები.

ვაჟები. ჩემპიონთა თასი. V ტური. „იუგოპლასტიკა“ (იუგოსლავია) — „მაკაბი“ (ისრაელი) 79:61 (33:30), „ფილიპსი“ (იტალია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 94:93 (47:47), „არისი“ (საბერძნეთი) — „კომოდორე“ (ჰოლანდია) 110:102 (54:31). „არისის“ ლიდერმა გალისმა ამ მატჩში თავის გუნდს 45 ქულა შესძინა. „ლიმოჟი“ (საფრანგეთი) — „ლეხი“ (პოლონეთი) 115:90 (59:41).

რვა უძლიერესთა ფინალურ ტურნირში დღეისათვის ასეთი მდგომარეობაა:

„იუგოპლასტიკა“	5	5	0	10
„ლიმოჟი“	5	4	1	9
„ბარსელონა“	5	3	2	8
„არისი“	5	3	2	8
„ფილიპსი“	5	3	2	8
„მაკაბი“	5	2	3	7
„კომოდორე“	5	0	5	5
„ლეხი“	5	0	5	5

კორაჩის თასი. III ტური. პირველი ჯგუფი. „ბოსნა“ (იუგოსლავია) — ცსკა (სსრკ) 92:89, „ირაკლისი“ (საბერძნეთი) — „ფონოლა“ (იტალია) 74:82.

„ფონოლა“	— 6 ქულა
„ბოსნა“	— 5
ცსკა	— 4
„ირაკლისი“	— 3

მეორე ჯგუფი. „ჰაპოელი“ (ისრაელი) — ასკ (ალმა-ათა) 109:106, „პანიონისი“ (საბერძნეთი) — „ეფესი“ (თურქეთი) 93:95.

„ეფესი“	— 6
„ჰაპოელი“	— 4
ასკ	— 4
„პანიონისი“	— 4

მესამე ჯგუფი. „შოლე“ (საფრანგეთი) — „ოლიმპია“ (იუგოსლავია) 103:87, „კაია სარაგოსა“ (ესპანეთი) — „ენიმონტი“ (იტალია) 83:73.

„ენიმონტი“	— 5
„შოლე“	— 5
„სარაგოსა“	— 4
„ოლიმპია“	— 4

მეოთხე ჯგუფი. „ხუვენტუდი“ (ესპანეთი) — „სკავოლინი“ (იტალია) 108:92, „ორტეზი“ (საფრანგეთი) — „ზადარი“ (იუგოსლავია) 87:85.

„ხუვენტუდი“	— 6
„სკავოლინი“	— 5
„ორტეზი“	— 4
„ზადარი“	— 3

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

ITALIA

მე-19 და მე-20 ტურები. „ინტერი“ — „ბოლონია“ 3:0, „ჩეზენა“ — „კრემონეზე“ 1:1, „ჯენოვა“ — „ფიორენტინა“ 1:1, „იუვენტუსი“ — „ვერონა“ 2:1, „ატლანტა“ — „ლეჩე“ 2:1, „ლაციო“ — „მილანი“ 1:3, „უდინეზე“ — „ნაპოლი“ 2:2, „ასკოლი“ — „რომა“ 1:1, „ბარი“ — „სამპდორია“ 0:2, „ნაპოლი“ — „ჩეზენა“ 1:0, „რომა“ — „ჯენოვა“ 0:1, „ფიორენტინა“ — „იუვენტუსი“ 2:2, „ბოლონია“ — „უდინეზე“ 0:0, „კრემონეზე“ — „ლაციო“ 2:1, „ლეჩე“ — „ინტერი“ 0:0, „მილანი“ — „ატლანტა“ 3:1, „სამპდორია“ — „ასკოლი“ 2:0, „ვერონა“ — „ბარი“ 1:1.

„ნაპოლი“	20	30-17	30
„ინტერი“	20	32-19	28
„სამპდორია“	20	31-16	28

ესპანეთი

მე-19 ტური. „ოვიედო“ — „რეალი“ 0:1, „სან სებასტიანი“ — „სევილია“ 2:1, „ვალეკანო“ — „ბილბაო“ 0:0, „ატლეტიკო“ — „ხიხონი“ 3:1, „მაიორკა“ — „ვალიადოლიდი“ 1:1, „ლოგრონიესი“ — „ვალენსია“ 1:0, „კასტელ ონი“ — „პამპლონა“ 1:2, „ბარსელონა“ — „სარაგოსა“ 3:1, „ვიგო“ — „კადისი“ 5:1, „ტენერიფე“ — „მალაგა“ 2:2.

„რეალი“	19	56-18	31
„ბარსელონა“	19	44-21	25
„ატლეტიკო“	19	28-21	25

შოტლანდია

23-ე ტური. „აბერდინი“ — „დანფერმლაინი“ 4:1, „დანდი იუნაიტედი“ — „სელტიკი“ 2:0, „ჰიბერნიანი“ — „სენ მირენი“ 0:1, „მოზერეული“ — „ჰართსი“ 0:3, „რეინჯერსი“ — „დანდი“ 3:0.

„რეინჯერსი“	23	32-12	33
„აბერდინი“	23	37-20	29
„ჰართსი“	23	40-25	27

პორტუგალია

მე-16 ტური. „ფეირენსე“ — „ტირსენსე“ 0:0, „პორტიმონენსე“ — „სეტუბალი“ 0:1, „პორტო“ — „გიმარაეში“ 1:1, „ბენფიკა“ — „ამადორა“ 2:0, „სპორტინგი“ — „ბელენენსეში“ 1:0, „ბრაგა“ — „ბოავიშტა“ 0:0, „შავიში“ — „ნასიონალი“ 3:3, „პენაფიელი“ — „ბეიერა“ 0:0, „მარიტიმო“ — „უნიაო“ 1:0.

„პორტო“	16	33-5	27
„ბენფიკა“	16	46-7	26
„გიმარაეში“	16	25-10	26

საბერძნეთი

მე-16 ტური. „არისი“ — „ოფი კრეტა“ 2:0, „იონიკოსი“ — „ლარისა“ 0:0, „ქსანტი“ — „პაოკი“ 0:2, „ვოლოსი“ — „ეთნიკოსი“ 2:1, „პანათინაიკოსი“ — „კალამარია“ 2:0, „ირაკლისი“ — „სერესი“ 2:0, „პანიონისი“ — „ლევადია“ 3:3, „ოლიმპიაკოსი“ — „დრამა“ 3:1, „აეკი“ — „აპოლონი“ 2:0.

„აეკი“	16	34-7	25
„ოლიმპიაკოსი“	16	25-8	25
„პანათინაიკოსი“	16	28-11	25
„პაოკი“	16	24-10	25

ირლანდია

მე-17 ტური. „ბოჰემიანსი“ — „შელბურნი“ 1:0 „დერი“ — „კორკი“ 2:0, „ლიმერიკი“ — „ათლონი“ 2:2, „სენტ პატრიკი“ — „გალოუეი“ 3:2, „უკდ დუბლინი“ — „შემროკი“ 1:3, „დროგჰედა“ — „დანდლაკი“ 1:1,

„დერი სიტი“	16	40-7	27
„სენტ პატრიკი“	17	25-15	26
„ბოჰემიანსი“	17	23-18	20

ინგლისი

22-ე ტური. „ჩარლტონი“ — „ასტონ ვილა“ 0:2, „ლივერპული“ — „ლუთონი“ 2:2, „ქუინს პარკი“ — „ნორვიჩი“ 2:1, „ნოტინგემი“ — „მილუოლი“ 3:1, „საუთჰემპტონი“ — „ევერტონი“ 2:2, „ქოვენთრი“ — „კრისტალ პალასი“ 1:0, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „დერბი“ 1:2, „ტოტენჰემი“ — „მანჩესტერ სიტი“ 1:1, „უიმბლდონი“ — „არსენალი“ 1:0, „შეფილდი“— „ჩელსი“ 1:1.

„ლივერპული“	22	43	
„ასტონ ვილა“	22	43	
„არსენალი“	22	39	

(სპა. ინფ.).

საერთაშორისო ფეხბურთი:
ფელეტონი,
ცხრილები

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მეორე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1546706 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (36) მოგება 1836 მანეთია. ოთხისთვის (1689) — 41, სამისთვის (32219)—3.

საქართველოში: დაშვებულია 41646 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—38, 3—871.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 16091168 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (140) მოგება 3492 მანეთია, ოთხისთვის (15384) — 50, სამისთვის (288896) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 465 461 ვარიანტი. 5-6 (ბათუმი —3, თბილისი, მარნეული, ქუთაისი), 4 — 516, 3— 9059.

მეორე და 1989 წლის 46-ე ტირაჟიდან 1990 წლის მეორე ტირაჟის ჩათვლით მონაწილე ათტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 3 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის მეორე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3 863 732 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (5€) მოგება 1034 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (1499) — 77 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (14126) — 28 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 210093 ვარიანტი. 13—2 (ხაშური, თბილისი), 12—84, 11—849.

მეორე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 3 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით.

ტურნირს ბაკინელები ესტუმრებიან სოხუმი

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით სოხუმის საჭადრაკო კოოპერატივ „გამბიტის“ მიერ მოწყობილი ბავშვთა საერთაშორისო ღია საჭადრაკო ტურნირის „შავი ზღვა-90“-ის სტარტის შესახებ. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ვენის დეპარტამენტ სტრასბურგის, ქალაქ ვროცლავის, პროვინცია დონგ ტხაოს (ვიეტნამი), აგრეთვე ნალჩიკის, აფხაზეთის, კოოპერატივ „გამბიტისა“ და გუდაუთის ნაკრები გუნდები.

ტურნირის სტარტზე ვიეტნამელთა წარმატება (2 ტურის შემდეგ უდანაკარგო შედეგი—8 ქულა) ერთგვარად მოულოდნელი იყო. მაგრამ მომდევნო ტურებში მათ დაამტკიცეს, რომ ეს წარმატება შემთხვევითი არ გახლდათ. მათ 28 შესაძლებლიდან მოაგროვეს 23 ქულა და დამსახურებულად დაიკავეს I **ადგილი.** ასევე წარმატებად უნდა ჩაითვალოს კოოპერატივ „გამბიტის“ მოჭადრაკეთა II **ადგილი** — 22 ქულა (მწვრთნელი — მიხეილ იაილიანი). III **ადგილი** წილად ხვდა აფხაზეთის გუნდს — 17 ქულა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რენცო ჭედია).

პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს: ჭაბუკთა **პირველ დაფაზე** — „გამბიტის“ წევრმა არტიომ ტაბარიანმა (6,5 ქულა 7-დან), **მეორე დაფაზე** — აფხაზეთის ნაკრების წევრმა, ოჩამჩირელმა ოთარ ხურხუმალმა (5 ქულა), ხოლო **მესამე დაფაზე** — ვიეტნამელმა ფრანგ თხიენ ხაიმ (7 ქულა); ასევე 7 ქულა აჩვენა **გოგონათა შორის** ვიეტნამელმა ფანგ ხუნ ბონგ ნგანმა.

ტურნირის მონაწილეებმა დაათვალიერეს აფხაზეთის ღირსშესანიშნაობანი. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო შეხვედრა სოხუმის №11 ქართულ საშუალო სკოლაში, იმ სკოლაში, სადაც VI კლასში ჭადრაკი ისწავლება როგორც ცალკე საგანი. ამავე სკოლაში (დირექტორი — ლეონტი ქუხილავა) შექმნილია და ნაყოფიერ შრომას ეწევა კლუბი „პანტარესკუ“. სწორედ ამ კლუბის (კლუბის პრეზიდენტი — ომარ ბერულავა) ინიციატივით სტუმრებისათვის გაიმართა კონცერტი.

თენგიზ პაპკორია,
„ლელოს“ კორ.

გუდაუთა — სოხუმი.

„მერანი“ № 2

გამოვიდა „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ მე-2 ნომერი. დამატება იხსნება ცნობით, რომ სსრ კავშირის ჩემპიონობა გოგონათა შორის მოიპოვა თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა ნინო ხურციძემ. პირველივე გვერდზე მკითხველი გაეცნობა ინფორმაციას ნონა გაფრინდაშვილის ახალი გამარჯვების შესახებ, რომელიც მან დასავლეთგერმანიის ქალაქ ვუპერტალის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე მოიპოვა.

ცნობილ ქართველ მწვრთნელსა და პედაგოგს პავლე ხიზანიშვილს 80 წელი შეუსრულდა. რედაქცია ულოცავს იუბილარს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და მკითხველს სთავაზობს გივი გამრეკელის წერილს „ენთუზიაზმიც ამას ჰქვია“.

საჭადრაკო კომპოზიციის მოყვარულები ინტერესით გაეცნობიან საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო ოსტატის ვლადიმირ კალანდაძის წერილს „გეომეტრიული მოტივები ლაზიერების დაბოლოებაში“.

როგორც ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, შარშან, წლის დამლევს, კუნძულ პალმა დე მალიორკაზე მოეწყო მსოფლიო თასის მეორე გათამაშების ბოლოსწინა შესარჩევი ეტაპი. „მერანის“ ამ ნომერში ვრცლადაა მოთხრობილი ამ შეჯიბრების შესახებ.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჯიჯინაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55, სამდივანი — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58, „მერანი“ — 98-97-28, „მართვე“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზრახის წითელი დროშის ორდენიანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08709